
საპროექტო ტერიტორია


1.0
1.0
ქვეითის სავალი
ნაწილის პირობითი
საზღვარი




zzzapp
2.0
0.8



პირობითი აღნიშვნები:

- ნაკვეთის საზღვარი
- მშენებარე ნაგებობა
- 02/4 აშენებული ნაგებობა
- მიწისქვეშა ნაგებობა
- ხაზობრივი ნაგებობა
- ტყის ფონდი
- ვალდებულება
- ქარსაფარი ზოლი

იჯარის ხელშეკრულება

წინამდებარე **იჯარის ხელშეკრულება** (შემდგომში „**ხელშეკრულება**“) გაფორმებულია 2026 წლის 03 აპრილს ქ. თბილისში შემდეგ მხარეებს შორის:

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ *(საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი: 204976302, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, N11)* წარმოდგენილი დირექტორის **რომან პეტრაშოვის** *(რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, პასპორტის ნომერი: 66N5721566)* მინდობილი პირის **სოფია ტაბიძის** *(პირადი ნომერი: 60001055098)* მიერ (შემდგომში „**მეიჯარე**“); და

შპს „ქისთოუნ ჩარჯერ“ *(საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი: 406530525, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ისნის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N 67ა, ბინა N79)* წარმოდგენილი დირექტორის გიგლა ბულისკერიას *(პირადი ნომერი: 62006063412)* მიერ (შემდგომში „**მოიჯარე**“);

მეიჯარე და მოიჯარე ცალ-ცალკე მოხსენიებული, როგორც „**მხარე**“ და ერთობლივად მოხსენიებულნი, როგორც „**მხარეები**“,

Договор Аренды

Настоящий **Договор Аренды** (далее - «**Договор**») заключен 03 апреля 2026 года в г. Тбилиси между следующими Сторонами:

ООО **«ЛУКОЙЛ-Джорджия»** *(общество с ограниченной ответственностью, основанное и действующее в соответствии с законодательством Грузии, идентификационный код: 204976302, юридический адрес: Грузия, Тбилиси, Сабурталинский район, набережная Гейдара Алиева, N11)*, представленное в лице уполномоченного представителя **Софии Табидзе** *(идентификационный номер: 60001055098)*, действующей на основании доверенности от имени директора **Романа Петрашова** *(гражданин Российской Федерации, номер паспорта: 66N5721566)* (далее - «**Арендодатель**»);

ООО **«Кистоун Чарджер»** *(общество с ограниченной ответственностью, основанное и действующее в соответствии с законодательством Грузии, идентификационный код: 406530525, юридический адрес: Грузия, город Тбилиси, Исанский район, проспект Святой Царицы Кетеван, № 67а, кв. № 79)*, представленное в лице директора Гиглы Булискерии *(Личный номер: 62006063412)* (далее - «**Арендатор**»);

Арендодатель и Арендатор, в отдельности именуемые «**Сторона**», а совместно именуемые «**Стороны**»,

პრეამბულა

*ვინაიდან, მოიჯარე გეგმავს ელექტრო ავტომობილების დამტენი მოწყობილობების განთავსების სადგურების/ლოკაციების მოწყობას საქართველოს მასშტაბით (შემდგომში ინდივიდუალურად მოხსენიებული, როგორც „**ლოკაცია**“, ხოლო ერთობლივად, როგორც „**ლოკაციები**“);*

ვინაიდან, აღნიშნული ლოკაციების მოწყობის მიზნით აუცილებელია შესაბამისი უძრავი ქონებით სარგებლობის უფლების მოპოვება;

ვინაიდან, მეიჯარე ფლობს ისეთ უძრავ ქონებას, რომელზეც მოიჯარე გეგმავს ლოკაციის მოწყობას;

ვინაიდან, მოიჯარეს სურს მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უძრავი ქონება იჯარით, ამ ხელშეკრულების

Преамбула

*Принимая во внимание, что Арендатор планирует обустройство станций/локаций для размещения зарядных устройств для электромобилей в масштабах всей Грузии (далее по отдельности именуемые «**Локация**», а совместно - «**Локации**»);*

Принимая во внимание, что в целях обустройства указанных локаций необходимо получение права пользования соответствующим недвижимым имуществом;

Принимая во внимание, что Арендодатель владеет таким недвижимым имуществом, на котором Арендатор планирует обустроить Локацию;

Принимая во внимание, что Арендатор желает получить в аренду недвижимое имущество, определенное настоящим Договором, при соблюдении

პირობების და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;

условий настоящего Договора и действующего законодательства;

მხარეები აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და თანხმდებიან შემდეგზე:

Стороны заключают настоящий Договор и соглашаются о нижеследующем:

1. ხელშეკრულების საგანი

1. Предмет договора

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მეიჯარე სარგებლობაში გადასცემს მოიჯარეს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ, მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (შემდგომში „**საიჯარო ქონება**") ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით. მოიჯარე ვალდებულია საიჯარო ქონებით სარგებლობისათვის ყოველთვიურად გადაუხადოს მეიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული თანხა.

1.1. На основании настоящего Договора Арендодатель передает Арендатору в пользование находящееся в его собственности недвижимое имущество, предусмотренное Статьей 3 (далее - «**Объект аренды**»), на срок, определенный Договором. Арендатор обязан ежемесячно выплачивать Арендодателю за пользование Объектом аренды сумму, определенную статьей 5 настоящего Договора.

1.2. საიჯარო ქონება მეიჯარეს ეკუთვნის შემდეგი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც დანართი N1-ის სახით ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის არსებით და განუყოფელ ნაწილს.

1.2. Объект аренды принадлежит Арендодателю на основании следующих правоустанавливающих документов: выписка из Публичного реестра, которая прилагается к настоящему Договору в виде Приложения №1 и является его существенной и неотъемлемой частью.

1.3. საიჯარო ქონება იჯარით გაიცემა კომერციული მიზნით *(კერძოდ, ელექტრო ავტომობილების დამტენი სადგურის მოწყობისა და დამტენი მოწყობილობების განთავსების მიზნით)* წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

1.3. Объект аренды сдается в аренду в коммерческих целях (в частности, в целях обустройства станции зарядки электромобилей и размещения зарядных устройств) на условиях, предусмотренных настоящим Договором.

1.4. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქონება *(მიწის ნაკვეთი ელექტრო ავტომობილების დამტენი სადგურის მოწყობისა და დამტენი მოწყობილობების განთავსების მიზნით)* მეიჯარემ მოიჯარეს უნდა გადასცეს არაუგვიანეს 2026 წლის 08 აპრილისა (შემდგომში **„საიჯარო ქონების გადაცემის თარიღი**").

1.4. Арендодатель обязан передать Арендатору зеиелгый участок (в целях обустройства станции зарядки электромобилей и размещения зарядных устройств) не позднее 08 апреля 2026 года (далее «**Дата передачи Помещений**»).

1.5. საიჯარო ფართის, რომელზეც მოწყობილია ელექტრო ავტომობილების დამტენი სადგური და განთავსებულია ელექტრო ავტომობილების დამტენი მოწყობილობა (შემდგომში — „**დამტენი მოწყობილობა**"), ნებისმიერი სახის მოვლა-პატრონობის ვალდებულება ცალმხრივად და უპირობოდ ეკისრება მხოლოდ მოიჯარეს. მეიჯარე სრულად თავისუფლდება იჯარის ქონებასთან და მასზე განთავსებულ დამტენ მოწყობილობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იჯარის ქონების ან/და მასზე განთავსებული ელექტრო ავტომობილის დამტენი მოწყობილობის დაზიანება მოხდა მეიჯარის მიერ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით.

1.5. Обязательство по любому виду содержания и ухода за арендуемой площадью, на которой обустроена станция зарядки электромобилей и размещено зарядное устройство для электромобилей (далее - «**Зарядное устройство**»), единолично и безусловно возлагается только на Арендатора. Арендодатель полностью освобождается от любого вида ответственности, связанной с Объектом аренды и размещенным на нем Зарядным устройством, за исключением случаев, когда повреждение Объекта аренды и/или размещенного на нем Зарядного устройства для электромобилей было вызвано умышленным действием или неосторожностью со стороны Арендодателя.

1.6. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის დამტენი მოწყობილობა მოიაზრებს როგორც უშუალოდ დამტენ მოწყობილობას, ასევე, ყველა იმ მოწყობილობას, სადენს თუ ნებისმიერ დანადგარს ან ნებისმიერ სხვა მოძრავ ნივთს, რომელიც დამტენი მოწყობილობის ფუნქციონირებისა და მონტაჟისთვის არის განკუთვნილი.

1.7. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები თანხმდებიან, რომ საიჯარო ქონებაზე დამტენი მოწყობილობის განთავსების კონკრეტული ადგილი წინასწარ შეთანხმდება მეიჯარესთან. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას საიჯარო ქონებაზე დამტენი მოწყობილობის განთავსების კონკრეტულ ადგილთან დაკავშირებით ან/და იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ქონებაზე ვერ განხორციელდება ელექტროენერგიის სიმძლავრის მიყვანა, მოიჯარე უფლებამოსილია ცალმხრივად და რაიმე სახის პასუხისმგებლობის/სანქციის დაკისრების გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება წინამდებარე ხელშეკრულების 7.3 მუხლით განსაზღვრული წესით. ამასთან, მოიჯარე არაა უფლებამოსილი მოსთხოვოს მეიჯარეს გაწეული ხარჯების ან/და რაიმე სახის ზიანის ანაზღაურება. ასევე, დამტენი მოწყობილობის ადგილმდებარეობის ცვლილების უფლება მოიჯარეს არ აქვს მეიჯარესთან წინასწარ წერილობით შეთანხმების გარეშე.

1.8. მხარეები თანხმდებიან, რომ დამტენი მოწყობილობების განთავსების ლოკაციის მოწყობის მიზნით, მოიჯარის მიერ გასაწევი ხარჯები მოიცავს შემდეგ ხარჯებს (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებულნი, როგორც „**მოიჯარის დანახარჯები**“):

(i) დამტენი მოწყობილობის მონტაჟის ხარჯი, რომლის მინიმალური სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 25,000 (ოცდახუთი ათასი) ლარს (დღგ-ს გარეშე);

(ii) დამტენი მოწყობილობის დემონტაჟის ხარჯი, რომლის მინიმალური სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარს (დღგ-ს გარეშე);

(iii) შესაბამის ლოკაციაზე ელექტროენერგიის სიმძლავრის მიყვანის ხარჯი/საფასური იმავე ლოკაციაზე განთავსებული დამტენი მოწყობილობის სიმძლავრის გათვალისწინებით, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღზე შეადგენს:

- 42,373 (ორმოცდაორი ათას სამას სამოცდაცამეტი) ლარს (დღგ-ს გარეშე) 180 (ას ოთხმოცი) კილოვატი/საათზე სიმძლავრის

1.6. Для целей настоящего Договора под Зарядным устройством подразумевается как непосредственно само зарядное устройство, так и все те устройства, кабели, любые установки или иные движимые вещи, которые предназначены для монтажа и функционирования Зарядного устройства.

1.7. Во избежание всякого рода недоразумений Стороны соглашаются, что конкретное место размещения Зарядного устройства на Объекте аренды предварительно согласовывается с Арендодателем. В случае, если Стороны не достигнут соглашения относительно конкретного места размещения Зарядного устройства на Объекте аренды или/и в том случае, если к арендуемому имуществу не удастся обеспечить подведение электрической мощности, Арендатор вправе в одностороннем порядке и без наложения какого-либо рода ответственности/санкций расторгнуть Договор в порядке, определенном статьей 7.3 настоящего Договора. Кроме того, Арендатор не имеет права требовать возмещения понесенных расходов и/или любой вид ущерба от Арендодателя. Также Арендатор не имеет права изменять месторасположение Зарядного устройства без предварительного письменного согласия Арендодателя.

1.8 Стороны соглашаются, что расходы, которые несет Арендатор для организации места установки зарядных устройств, включают следующие расходы (далее совместно именуемые «Расходы Арендатора»):

(i) Стоимость установки зарядного устройства, минимальная оценочная стоимость которого составляет: 25 000 (двадцать пять тысяч) лари (без НДС);

(ii) Стоимость демонтажа зарядного устройства, минимальная оценочная стоимость которого составляет: 450 (четыреста пятьдесят) лари (без НДС);

(iii) Стоимость/плата за поставку электроэнергии в соответствующее место, с учетом мощности зарядного устройства, установленного в том же месте, которая на дату заключения настоящего Договора составляет:

- 42,373 (сорок две тысячи триста семьдесят три) лари (без НДС) для зарядного устройства мощностью 180 (сто восемьдесят) киловатт-часов; и

მქონე დამტენი მოწყობილობისათვის; და

- 58,475 (ორმოცდათვრამეტი ათას ოთხას სამოცდათხუთმეტი) ლარს (დღგ-ს გარეშე) 240 (ორას ორმოცი) კილოვატი/საათზე სიმძლავრის მქონე დამტენი მოწყობილობისათვის.

- 58,475 (пятьдесят восемь тысяч четыреста семьдесят пять) лари (без НДС) для зарядного устройства мощностью 240 (двести сорок) киловатт-часов.

დამატებით განსაზღვრულია, რომ ელექტროენერგიის სიმძლავრის მიყვანის ხარჯი/საფასური განისაზღვრება სს „თელასი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202052580) *(ან საფასურის/ხარჯის გამოთვლის მომენტში შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტის)* მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული/დაწესებული ტარიფით/საფასურით. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მუხლში მითითებული ელექტროენერგიის მიერთების საფასური განსხვავდება მოიჯარის დანახარჯების ანაზღაურების მომენტში ოფიციალურად დადგენილი საფასურისგან, იმოქმედებს ანაზღაურების მომენტში დადგენილი ოფიციალური საფასური.

Далее уточняется, что стоимость/плата за поставку электроэнергии определяется АО «Теласи» (идентификационный код: 202052580) *(или соответствующим уполномоченным органом на момент расчета платы/стоимости)* по тарифу/плате, официально опубликованному/установленному АО «Теласи» (идентификационный код: 202052580) *(или соответствующим уполномоченным органом на момент расчета платы/стоимости).* Соответственно, в случае, Если плата за подключение к электросети, указанная в настоящем пункте, отличается от платы, официально установленной на момент возмещения расходов Арендатором, применяется официальная плата, установленная на момент возмещения.

წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით მეიჯარე ადასტურებს და თანხმდება, რომ: (a) ივი სრულად გაეცნო და მისთვის ცნობილია წინამდებარე მუხლში მითითებული მოიჯარის დანახარჯების მოცულობა, კალკულაცია და მათი მიზნობრიობა; (b) მოიჯარის დანახარჯების ოდენობა არის სამართლიანი, გონივრული, შეესაბამება საბაზრო ღირებულებას; (c) უარს აცხადებს მოიჯარის დანახარჯებთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზიის წარდგენაზე, და (d) ვალდებულებას იღებს, არ შეუშალოს ხელი მოიჯარეს განახორციელოს და გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი უფლებები.

Подписывая настоящий Договор, Арендодатель признает и соглашается с тем, что: (a) он был полностью проинформирован и осведомлен о размере, расчете и целевом назначении Расходов Арендатора, как указано в настоящем пункте; (b) сумма Расходов Арендатора является справедливой, разумной и соответствует рыночной стоимости; (c) он отказывается от любых претензий в отношении Расходов Арендатора, и (d) он обязуется не препятствовать Арендатору в осуществлении и пользовании правами, предоставленными ему по настоящему Договору.

დამატებით, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მუხლის (i) და (ii) პუნქტებში მითითებული საფასური *[მონტაჟის და დემონტაჟის საფასური]* წარმოადგენს მინიმალურ სავარაუდო/საორიენტაციო საფასურს, შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარის მხრიდან შესაბამის ლოკაციაზე გაწეული ხარჯი აღემატება აღნიშნულ მინიმალურ სავარაუდო ღირებულებას, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის იმოქმედებს შესაბამისი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობა, რომელიც მოიჯარის მიერ დადასტურდება მეიჯარისთვის წარდგენილი დოკუმენტაციით.

Кроме того, стороны соглашаются, что плата [за установку и демонтаж], указанная в пунктах (i) и (ii) настоящей статьи, является минимальной расчетной/ ориентировочная плата, соответственно, применяется в случае, если расходы, понесенные Арендатором в соответствующем месте, превышают эту минимальную расчетную стоимость. Для целей настоящего Договора применяются фактические расходы, которые Арендатор подтверждает Арендодателю с помощью подтверждающих документов.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე

Во избежание всякого рода недоразумений, Стороны соглашаются, что в течение первых 4 (четырех) лет действия настоящего Договора, Арендодатель обязан

ხელშეკრულების მოქმედების პირველი 4 (ოთხი) წლის განმავლობაში, მეიჯარე ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს მოიჯარეს წინამდებარე მუხლში გათვალისწინებული მოიჯარის დანახარჯები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას. დამატებით, განსაზღვრულია, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან პირველი 4 (ოთხი) წლის ამოწურვის შემდეგ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მეიჯარის მიერ მოიჯარის დანახარჯების ანაზღაურებისას წინამდებარე მუხლში მითითებული მოიჯარის დანახარჯები ანაზღაურდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის დარჩენილი პერიოდის პროპორციულად.

полностью возместить Арендатору расходы, предусмотренные настоящей статьей, в случае досрочного расторжения Договора в предусмотренных им случаях. Дополнительно определено, что в случае досрочного расторжения Договора по истечении первых 4 (четырех) лет с момента его вступления в силу, возмещение расходов Арендатора со стороны Арендодателя производится пропорционально оставшемуся периоду срока действия Договора.

2. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

2. Заявления и гарантии Сторон

2.1. მხარეები აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ:

2.1. Стороны заявляют и гарантируют, что:

(ა) მათ გააჩნიათ სრული სამართლებრივი კომპეტენცია და სრული სამართლებრივი უფლებამოსილება გააფორმონ წინამდებარე ხელშეკრულება, მონაწილეობა მიიღონ ხელშეკრულების შესრულებაში, აგრეთვე, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაში;

(a) Они обладают полной правоспособностью и полномочиями на заключение настоящего Договора, участие в его исполнении, а также на выполнение обязательств, предусмотренных настоящим Договором;

(ბ) ხელშეკრულება სათანადო წესით იქნა დადასტურებული და შესრულებული მათ მიერ და წარმოადგენს ნამდვილ, სავალდებულო ძალის მქონე შეთანხმებას, რომელიც უნდა შესრულდეს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული პირობების შესაბამისად;

(b) Договор был надлежащим образом подтвержден и исполнен ими и представляет собой действительное, имеющее обязательную силу Договор, который должен исполняться в соответствии с условиями, указанными в настоящем Договоре;

(გ) ორივე მხარე არის სათანადო წესით დაფუძნებული და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი იურიდიული პირი და მინიჭებული აქვს ყოველგვარი სამეწარმეო უფლებამოსილება, რათა ფლობდეს ქონებას და ახორციელებდეს კომერციულ საქმიანობას;

(c) Обе Стороны являются юридическими лицами, надлежащим образом учрежденными и действующими в соответствии с законодательством Грузии, и наделены всеми предпринимательскими полномочиями для владения имуществом и осуществления коммерческой деятельности;

(დ) მათ წინააღმდეგ არ მიმდინარეობს სასამართლო დავა ან/და გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის დავა ან/და ადმინისტრაციული წარმოება ან/და არ არსებობს რაიმე გარემოება, რომელიც მხარეს ხელს შეუშლიდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში ან/და მოითხოვდა მხარეთა წინააღმდეგ გაკოტრების და გადახდისუუნარობის წარმოების დაწყებას ან გამოიწვევდა ხელშეკრულების ბათილობას გაკოტრების

(d) В отношении них них не возбуждено судебных и/или процедур банкротства и несостоятельности и/или административных процедур и/или не существует обстоятельств, которые могли бы помешать стороне выполнить обязательства, предусмотренные в настоящем Договоре (и) при исполнении своих обязательств по настоящему Договору и/или потребовали бы возбуждения процедур банкротства и несостоятельности в отношении сторон или привели бы к аннулированию Договора в соответствии с любым законом о банкротстве.

მარეგულირებელი რომელიმე კანონის შესაბამისად.

2.2. დამატებით, მეიჯარე აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

(ა) საიჯარო ქონება არის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო. ყოველგვარი ბუნდოვანების გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის:

- ნივთობრივად უნაკლო გულისხმობს, რომ საიჯარო ქონებას არ გააჩნია რაიმე ფიზიკური ნაკლი ან/და დეფექტი *(მათ შორის, დაფარული ნაკლი)*, რომელიც ხელს შეუშლის ან/და შეაფერხებს მოიჯარის მხრიდან საიჯარო ქონების მიზნობრივად გამოყენებას ან/და შეამცირებს მის ღირებულებას ან/და საიჯარო ქირის ოდენობას; და
- უფლებრივად უნაკლო გულისხმობს, რომ საიჯარო ქონებასთან მიმართებით მესამე პირ(ებ)ს არ გააჩნიათ/არ ექნებათ რაიმე სახის მოთხოვნა ან/და პრეტენზია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

(ბ) მეიჯარემ კეთილსინდისიერად მიაწოდა მოიჯარეს ნებისმიერი და ყველა სახის ინფორმაცია საიჯარო ქონების და მისი მდგომარეობის თაობაზე; მეიჯარის მიერ მოიჯარისთვის მიწოდებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია არის უტყუარი, სწორი და არ არის შეცდომაში შემყვანი;

(გ) საიჯარო ქონება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში და მისი მოქმედების განმავლობაში არის და იქნება ვარგისი იმ მიზნებისთვის, რა მიზნებისთვისაც მოიჯარე იყენებს და სურს გამოიყენოს საიჯარო ქონება;

(დ) უზრუნველყოფს ისეთ პირობებს, რომლებიც მოიჯარეს მისცემს შესაძლებლობას სრულად, შეუფერხებლად და ფუნქციისამებრ ისარგებლოს საიჯარო ქონებით. შესაბამისად, მეიჯარე ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება ან/და უმოქმედობა, რომელიც ხელს შეუშლის საიჯარო ქონების ექსპლუატაციას, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა გარკვეული ქმედება/უმოქმედობის განხორციელება აუცილებელია ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისათვის ან/და

2.2. Дополнительно Арендодатель заявляет и гарантирует, что:

(a) Объект аренды свободен от материальных и правовых недостатков. Во избежание любой неясности, для целей настоящего Договора:

- отсутствие материальных недостатков подразумевает, что Объект аренды не имеет каких-либо физических недостатков и/или дефектов (в том числе скрытых недостатков), которые будут препятствовать и/или мешать использованию Объекта аренды Арендатором по целевому назначению и/или снизят его стоимость и/или размер арендной платы; и
- отсутствие правовых недостатков подразумевает, что в отношении Объекта аренды у третьего лица (лиц) не имеется/не будет иметься какого-либо рода требований и/или претензий в течение срока действия настоящего Договора.

(b) Арендодатель добросовестно предоставил Арендатору любую и всевозможную информацию относительно Объекта аренды и его состояния; информация и/или документация, предоставленная Арендодателем Арендатору, является достоверной, точной и не вводит в заблуждение;

(c) Объект аренды в момент подписания настоящего Договора и в течение срока его действия является и будет являться пригодным для тех целей, для которых Арендатор использует и желает использовать Объект аренды;

(d) Арендодатель обеспечивает такие условия, которые дадут Арендатору возможность полноценно, беспрепятственно и в соответствии с назначением пользоваться Объектом аренды. Соответственно, Арендодатель обязан не совершать таких действий и/или бездействия, которые будут препятствовать эксплуатации Объекта аренды, кроме случаев, когда действие/бездействие является необходимым для функционирования автозаправочной станции и/или для выполнения указаний/задач/постановлений государственных органов;;

სახელმწიფო ორგანოების მითითებების/დავალებების/დადგენილებების შესასრულებლად;

(ე) მეიჯარე დაიცავს მოიჯარის ინტელექტუალურ საკუთრებას და არ დაუშვებს ამგვარი ინტელექტუალური საკუთრების დარღვევას;

(ვ) წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებით და მასში გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებით არ ირღვევა ან/და მომავალში არ დაირღვევა მესამე პირთა უფლებები, ასევე, ნებისმიერ მესამე პირ(ებ)თან არსებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები ან/და მეიჯარის სხვა ვალდებულებ(ებ)ი, კანონმდებლობა ან/და სასამართლო გადაწყვეტილება, სახელმწიფოს ან/და მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია მეიჯარე. დამატებით, მეიჯარე იძლევა გარანტიას, რომ დაიცავს მოიჯარეს წინამდებარე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი, მათ შორის, ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ის პრეტენზიის, დავის ან/და სარჩელისგან და აუნაზღაურებს წინამდებარე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებულ დადასტურებულ ზიანსა და ხარჯს.

(ზ) მეიჯარე დაიცავს მოიჯარეს წინამდებარე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ის პრეტენზიის, დავის ან/და სარჩელისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში აუნაზღაურებს აღნიშნულთან დაკავშირებით მიყენებულ დადასტურებულ ზიანსა და ხარჯს.

(e) Арендодатель будет защищать интеллектуальную собственность Арендатора и не допустит нарушения такой интеллектуальной собственности;

(f) Заключением настоящего Договора и исполнением предусмотренных им обязательств не нарушаются и/или не будут нарушены в будущем права третьих лиц, а также условия других договоров, заключенных с любыми третьими лицами, и/или иные обязательства Арендодателя, законодательство и/или судебное решение, какие-либо ограничения, установленные государством и/или регулирующим органом, за соблюдение которых несет ответственность Арендодатель. Дополнительно Арендодатель гарантирует, что оградит Арендатора от любых претензий, споров и/или исков со стороны любых третьих лиц, связанных с нарушением настоящей статьи, и возместит ему подтвержденный ущерб и расходы в связи с нарушением настоящей статьи.

(g) Арендодатель оградит Арендатора от претензий, споров и/или исков со стороны любых третьих лиц, связанных с нарушением настоящей статьи. Противном случае возместит ему причененный и подтвержденный ущерб и расходы связанных с данными нарушениями.

2.3. მხარეები გარკვევით ადასტურებენ, რომ მათ მიერ ხელშეკრულების დადება ეფუძნება და უკავშირდება ამავე ხელშეკრულების 2.1. და 2.2 მუხლებით გათვალისწინებულ განცხადებებსა და გარანტიებს. ამასთან, თუკი აღმოჩნდება, რომ რომელიმე განცხადება ან გარანტია არის მცდარი, არასრული ან შეცდომაში შემყვანი, მეორე მხარე უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულების შესრულებაზე და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით და კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

2.3. Стороны четко подтверждают, что заключение ими Договора основывается на заявлениях и гарантиях, предусмотренных пунктами 2.1 и 2.2 настоящего Договора, и связано с ними. При этом, если окажется, что какое-либо заявление или гарантия являются ложными, неполными или вводящими в заблуждение, другая Сторона вправе отказаться от исполнения обязательств, установленных Договором, и потребовать возмещения ущерба в соответствии с правилами, установленными настоящим Договором и законодательством.

3. საიჯარო ქონება

3.1. მეიჯარე იჯარით გადასცემს, და მოიჯარე იჯარით დროებით სარგებლობაში იღებს შემდეგ უძრავ

3. Объект аренды

3.1. Арендодатель передает в аренду, а Арендатор принимает во временное пользование следующее

ქონებას: **ერთმანეთის გვერდი-გვერდ არსებული 2 (ორი) ერთეული საპარკინგე სივრცე, განთავსებული მეიჯარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 01.13.05.004.043, მდებარე: ქ. თბილისი, კოსმონავტების სანაპირო N53) ტერიტორიაზე, საიჯარო ქონების ფართი: 20 კვ.მ.** რომელზეც შესაძლებელი იქნება ელექტრო ავტომობილების დამტენი მოწყობილობის დამონტაჟება, ექსპლუატაცია, ოპერირება, შენახვა და დამტენი სადგურის მოწყობა. საიჯარო ქონების დეტალური აღწერა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან). ასევე, წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის უძრავი ქონების გეგმა-სქემა, რომლითაც განსაზღვრულია საიჯარო ქონების (საპარკინგე სივრცეების) ადგილმდებარეობა (დანართი N2).

недвижимое имущество: **2 (две) единицы парковочных мест, расположенных рядом друг с другом на территории недвижимого имущества, находящегося в собственности Арендодателя (к/к 01.13.05.004.043, расположенного по адресу: г. Тбилиси, набережная Космонавтов, д. 53), площадь Объекта аренды: 20 кв.м.,** на которых будет возможно произвести монтаж, эксплуатацию, оперирование, содержание зарядного устройства для электромобилей и обустройство зарядной станции. Детальное описание Объекта аренды приведено в Приложении №2 (выписка из публичного реестра) к настоящему Договору. Также к настоящему Договору прилагается план-схема недвижимого имущества, определяющая местоположение Объекта аренды (парковочных мест) (Приложение N2).

3.2. რაიმე სახის სამუშაოების დაწყებამდე მოიჯარე ვალდებულია შეამოწმოს საიჯარო ქონების უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს შესაბამისი სამუშაოები. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების შედეგად საიჯარო ქონებას აღმოაჩნდა რაიმე სახის ნაკლი მოიჯარე უფლებამოსილია დაუყოვნებლივ და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ამასთან, მოიჯარე არაა უფლებამოსილი მოსთხოვოს მეიჯარეს გაწეული ხარჯების ან რაიმე სხვა სახის ფულადი ანაზღაურება.

3.2. Перед началом любых работ Арендатор обязан проверить что Объект арены свободен от материальных и правовых недостатков и только после этого приступать к соответствующим работам. В случае, если у Объекта аренды обнаружится какой-либо недостаток Арендатор вправе незамедлительно и в одностороннем порядке расторгнуть Договор. Кроме того, Арендатор не имеет права требовать от Арендодателя возмещения понесенных расходов или какой-либо другой денежной компенсации.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4. Права и обязанности Сторон

4.1. **მეიჯარე ვალდებულია:**

4.1. Арендодатель обязан:

4.1.1. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე გაყიდის ან სხვაგვარად გადასცემს მესამე პირს თავის საკუთრების უფლებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ საიჯარო ქონებაზე, აღნიშნული ქონების ახალი მესაკუთრე სრულად და უპირობოდ ჩაანაცვლებს მეიჯარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა უფლებითა და ვალდებულებით, და იჯარის ურთიერთობა გაგრძელდება უცვლელი პირობებით ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე. მეიჯარე ვალდებულია წინასწარ, გონივრულ ვადაში შეატყობინოს მოიჯარეს აღნიშნულის თაობაზე. ყოველგვარი ბუნდოვანების გამორიცხვის მიზნით, საიჯარო ქონების გასხვისება ან/და მასზე საკუთრების უფლების მესამე პირისთვის რაიმე ფორმით გადაცემა არ ახდენს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედებაზე და არ ანიჭებს საიჯარო ქონების ახალ მესაკუთრეს/საიჯარო ქონებაზე შესაბამისი უფლებების მქონე პირს, უფლებას შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

4.1.1. В случае, если Арендодатель продаст или иным образом передаст третьему лицу право собственности на Объект аренды, определенный настоящим Договором, новый собственник указанного имущества полностью и безоговорочно заменит Арендодателя во всех правах и обязанностях, вытекающих из настоящего Договора, и арендные отношения продолжатся на неизменных условиях до истечения срока действия Договора. Арендодатель обязан заранее, в разумный срок, уведомить Арендатора об этом. Во избежание каких-либо сомнений, отчуждение Арендованного имущества и/или передача права собственности на него третьему лицу в любой форме не влияет на действие настоящего Договора и не предоставляет новому собственнику Арендованного имущества / лицу, обладающему соответствующими правами на Арендованное имущество, права на расторжение настоящего Договора.

4.1.2. კეთილსინდისიერად განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით და კანონმდებლობით დაკისრებული სხვა მოვალეობები.

4.1.3. უზრუნველყოს მოიჯარის მომხმარებლების, პერსონალის ან/და წარმომადგენლ(ებ)ის შეუზღუდავი დაშვება საიჯარო ქონების ტერიტორიაზე ან/და საიჯარო ქონებით შეუზღუდავი სარგებლობა.

4.2. **მეიჯარე უფლებამოსილია:**

4.2.1. მოითხოვოს ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული საიჯარო ქირის დროული გადახდა.

4.2.2. ნებისმიერ დროს შეამოწმოს საიჯარო ქონება იმგვარად, რომ არ მოხდეს მოიჯარის ხელშეშლა საიჯარო ქონებით წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მიზნით/დანიშნულებით სარგებლობის პროცესში.

4.3. **მოიჯარე უფლებამოსილია:**

4.3.1. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ისარგებლოს საიჯარო ქონებით, წინამდებარე ხელშეკრულების 1.3 მუხლით გათვალისწინებული დანიშნულებით;

4.3.2. შეუზღუდავად გამოიყენოს საიჯარო ქონება მარკეტინგული აქტივობების ფარგლებში, მათ შორის, შეუზღუდავად გამოიყენოს საიჯარო ქონების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა მოიჯარის საქმიანობის პოპულარიზაციის/პრომოუტირების მიზნებისთვის;

4.3.3. განახორციელოს საიჯარო ქონების ცვლილება/რეკონსტრუქცია მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების 1.3 მუხლით გათვალისწინებული მიზნობრიობისთვის და მხოლოდ მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობით და, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო/ადმინისტრაციული ორგანოებიდან შესაბამისი ნებართვებისა და თანხმობების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე არ გასცემს ამგვარ თანხმობას წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული მიზნობრიობით ცვლილება/რეკონსტრუქციაზე, მოიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება დაუყოვნებლივ, ხოლო მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს აუნაზღაუროს წინამდებარე ხელშეკრულების 1.8 მუხლით განსაზღვრული მოიჯარის დანახარჯები;

4.3.4. მოიჯარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეიჯარეს ხელშეკრულებით და კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

4.4. **მოიჯარე ვალდებულია:**

4.1.2. Добросовестно исполнять иные обязанности, возложенные настоящим Договором и законодательством.

4.1.3. Обеспечить неограниченный доступ клиентов, персонала и/или представителя(ей) Арендатора на территорию Объекта аренды и/или неограниченное пользование Объектом аренды.

4.2. Арендодатель вправе:

4.2.1. Требовать своевременной оплаты арендной платы, предусмотренной статьей 5 настоящего Договора.

4.2.2. В любое время проверять Объект аренды таким образом, чтобы не создавать помех Арендатору в процессе пользования Объектом аренды в целях/по назначению, установленных(ым) настоящим Договором.

4.3. Арендатор вправе:

4.3.1. Пользоваться Объектом аренды в течение срока действия Договора в соответствии с назначением, предусмотренным пунктом 1.3 настоящего Договора;

4.3.2. Без ограничений использовать Объект аренды в рамках маркетинговых активностей, в том числе без ограничений использовать фото и видеоматериалы с изображением Объекта аренды в целях популяризации/продвижения деятельности Арендатора;

4.3.3. осуществлять изменение/реконструкцию Объекта аренды только для целей, указанных в пункте 1.3 настоящего Договора и только в случае получения предварительного письменного согласия Арендодателя и, в случае необходимости, без получения соответствующих разрешений и согласий от государственных/административных органов. В случае если Арендодатель не предоставит такое согласие на целенаправленные изменения/реконструкцию, предусмотренные настоящей статьей, Арендатор вправе немедленно расторгнуть настоящий Договор, при этом Арендодатель обязан возместить Арендатору расходы, предусмотренные статьёй 1.8 настоящего Договора;

4.3.4. Арендатор имеет право требовать от Арендодателя исполнения иных обязанностей, возложенных на него Договором и законодательством.

4.4. Арендатор вправе:

4.4.1. გამოიყენოს საიჯარო ქონება მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულებით;

4.4.2. საიჯარო ქონების სხვა დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია წინასწარ აცნობოს მეიჯარეს წერილობითი ფორმით;

4.4.3 ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შეინარჩუნოს საიჯარო ქონება ნორმალურ და გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში. ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ დაუბრუნოს მეიჯარეს საიჯარო ქონება არსებულ მდგომარეობაში, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით;

4.4.4. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საიჯარო ქონებაზე ელექტრო ავტომობილების დამტენი მოწყობილობების მონტაჟი, დემონტაჟი, რემონტი, რაც აუცილებელი იქნება საიჯარო ქონების ნორმალური ექსპლუატაციისათვის;

4.4.5. დაიცვას საიჯარო ქონება მესამე პირთა ხელყოფისაგან მისი შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში;

4.4.6. დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების წესები;

4.4.7. ვალდებულია შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა მოთხოვნა, რაც საჭიროა მისი საქმიანობის განსახორციელებლად;

4.4.8. გადაიხადოს საიჯარო ქირა ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

4.4.9. არ გადასცეს საიჯარო ქონება მესამე პირებს ქვეიჯარის ან სხვა სახით სარგებლობისათვის მეიჯარისაგან წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების გარეშე.

4.4.1. Использовать Объект аренды только по назначению, предусмотренному настоящим Договором;

4.4.2. В случае использования Объекта аренды по иному назначению, Арендатор обязан предварительно уведомить Арендодателя в письменной форме;

4.4.3 В течение срока действия Договора поддерживать Объект аренды в нормальном и пригодном для использования состоянии. После истечения срока действия Договора вернуть Арендодателю Объект аренды в существующем состоянии с учетом нормального износа;

4.4.4. За счет собственных средств обеспечить монтаж, демонтаж и ремонт устройств для зарядки электромобилей на Объекте аренды, что будет необходимо для нормальной эксплуатации Объекта аренды;

4.4.5. Оберегать Объект аренды от посягательств со стороны третьих лиц в пределах своих возможностей и компетенции;

4.4.6. Соблюдать правила противопожарной безопасности и техники безопасности;

4.4.7. Обязан(а) выполнять все установленные законодательством требования, необходимые для осуществления своей деятельности;

4.4.8. Оплачивать арендную плату в порядке и в размере, предусмотренных Статьей 5 настоящего Договора;

4.4.9. Не передавать Объект аренды третьим лицам в субаренду или в иной форме пользования без получения предварительного письменного согласия Арендодателя.

5. საიჯარო ქირა და მისი გადახდის წესი

5. Арендная плата и порядок её оплаты

5.1. ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრება 2 000.00 (ორი ათასი) ლარით დღგ-ს გარეშე (შემდგომში „**საიჯარო ქირა**“).

5.1. Ежемесячная арендная плата устанавливается в размере 2 000.00 (двух тысяч) лари без НДС (далее - «**Арендная плата**»).

5.2. მოიჯარეს ეძლევა საიჯარო ქირის გადახდის საშეღავათო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც, იგი თავისუფლდება საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისგან 2026 წლის 01 ივნისამდე (შემდგომში **„საშეღავათო პერიოდი“).**

5.2. Арендатору предоставляется льготный период оплаты арендной платы, в течение которого он освобождается от обязанности по уплате арендной платы до 01 июня 2026 года (далее - «**Льготный период**»).

5.3. მოიჯარე საიჯარო ქირის გადახდას იწყებს 2026 წლის 01 ივნისიდან. მოიჯარე ვალდებულია საანგარიშო

5.3. Арендатор начинает выплату арендной платы с 01-го июня 2026 года. Арендатор обязан выплачивать

თვის საიჯარო ქირა გადაიხადოს წინასწარ, საანგარიშო თვის 05 რიცხვამდე.

5.4. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 მუხლით განაზღვრული საიჯარო ქირა ფიქსირებულია ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან პირველი 2 (ორი) წლის განმავლობაში, კერძოდ, 2028 წლის 03 აპრილამდე. შესაბამისად, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საიჯარო ქირის ოდენობა არ ექვემდებარება ცვლილებას. დამატებით, განსაზღვრულია, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან პირველი 2 (ორი) წლის გასვლის შემდგომ, კერძოდ, 2028 წლის 03 აპრილიდან საიჯარო ქირა შესაძლოა დაექვემდებაროს ცვლილებას მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, შემდეგი წესების დაცვით:

ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან პირველი 2 (ორი) წლის გასვლის შემდგომ, კერძოდ, 2028 წლის - 03 აპრილიდან საიჯარო ქირა შესაძლოა გაიზარდოს ყოველწლიურად (იჯარის ვადის ამოწურვამდე) არაუმეტეს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფლაციის განაკვეთისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის გათვალისწინებით.

5.5. საიჯარო ქირის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით მეიჯარის მიერ მითითებულ საბანკო რეკვიზიტების გამოყენებით.

5.6. აღნიშნულ საიჯარო ქირაში არ შედის ელექტროენერგიის საფასური. მოიჯარე იღებს ვალდებულებას ელექტროენერგიის მიწოდებისა და ელექტრო ენერგიის საფასურის გადახდის მიზნებისთვის შესაბამის ელექტროენერგიის მიმწოდებელ კომპანიასთან დარეგისტრირდეს როგორც აბონენტი. ამ მიზნით, მეიჯარე ვალდებულია გაუწიოს მოიჯარეს ნებისმიერი სახის დახმარება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთოს მოიჯარის მხრიდან აბონენტის რეგისტრაციის პროცესში, მიაწოდოს მოიჯარეს ნებისმიერი და ყველა სახის ინფორმაცია ან/და დოკუმენტი.

5.7. წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 მუხლით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მეიჯარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მას შემდეგ, რაც უშედეგოდ გავა მოიჯარისათვის დანიშნული დამატებითი ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 5 (ხუთი) სამუშაო დღეზე ნაკლები. აღნიშნული საფუძვლით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა ხორციელდება მეიჯარისათვის რაიმე სახის სანქციის დაკისრების, მათ შორის მოიჯარის მიერ გაწეული ხარჯების მოიჯარისათვის ანაზღაურების გარეშე.

арендную плату за отчетный месяц авансом, до 05-го числа отчетного месяца.

5.4. Стороны соглашаются, что арендная плата, определенная пунктом 5.1 настоящего Договора, является фиксированной в течение первых 2 (двух) лет с момента вступления Договора в силу, а именно - до 03 апреля 2028 года. года. Соответственно, в течение указанного периода размер арендной платы не подлежит изменению. Дополнительно определено, что по истечении первых 2 (двух) лет с момента вступления Договора в силу, а именно - с 03 апреля 2028 года, арендная плата может подлежать изменению на основании двустороннего соглашения Сторон с соблюдением следующих правил:

По истечении первых 2 (двух) лет с момента вступления Договора в силу, а именно – с 03 апреля 2028 года, арендная плата может быть увеличена ежегодно (до истечения срока аренды) не более чем на уровень инфляции, опубликованный Национальным статистическим управлением Грузии, с учетом целевого показателя инфляции, разработанного Национальным банком Грузии.

5.5. Арендная плата должна быть уплачена Арендатором путем банковского перевода на банковский счет, указанный Арендодателем.

5.6. Указанная арендная плата не включает стоимость электроэнергии. Арендатор берет на себя обязательство зарегистрироваться в качестве абонента у соответствующей электроснабжающей компании в целях обеспечения подачи и оплаты стоимости электроэнергии. Для этой цели Арендодатель обязан оказывать Арендатору любую помощь, в том числе, в случае необходимости, включиться в процесс регистрации Арендатора в качестве абонента, предоставлять Арендатору любую и всякого рода информацию и/или документы.

5.7. В случае нарушения срока, предусмотренного пунктом 5.3 настоящего Договора, Арендодатель имеет право расторгнуть Договор после того, как безрезультатно истечет дополнительный срок, предоставленный Арендатору, который должен составлять не менее 5 (пяти) рабочих дней. Одностороннее расторжение Договора по данному основанию осуществляется без наложения на Арендодателя каких-либо санкций, в том числе без возмещения Арендатору понесенных им расходов.

6. ექსკლუზიურობა

6. Эксклюзивность

6.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მეიჯარე არ არის უფლებამოსილი წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ კონკრეტულ საიჯარო საგანთან დაკავშირებით ითანამშრომლოს, რაიმე სახის შეთანხმება გააფორმოს ან/და აწარმოოს მოლაპარაკება მოიჯარის ნებისმიერ კონკურენტთან, რომელიც: (ა) წარმოადგენს ელექტრო ავტომობილების დამტენების სერვისის მიმწოდებელ კომპანიას, (ბ) განახორციელებს დამტენების მონტაჟს ან/და ექსპლუატაციას, ან/და (გ) განათავსებს ელექტრო ავტომობილების დამტენებთან დაკავშირებულ შესაბამის ინფრასტრუქტურას ან/და დამტენ სადგურს (შემდგომში „**ექსკლუზიურობა**").

6.1. Стороны соглашаются, что в отношении конкретного арендованного имущества, указанного в настоящем договоре Арендодатель не вправе сотрудничать, заключать какого-либо рода соглашения и/или вести переговоры с любым конкурентом Арендатора, который: (а) является компанией-поставщиком услуг по зарядке электромобилей, (б) осуществляет монтаж и/или эксплуатацию зарядных устройств, и/или (в) размещает соответствующую инфраструктуру, связанную с зарядными устройствами для электромобилей, и/или зарядную станцию (далее -«**Эксклюзивность**»).

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მისი შეწყვეტის პირობები და წესები

7. Срок действия договора, условия и правила его расторжения

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **2026 წლის 03 აპრილიდან** და **მოქმედებს 7 (შვიდი) წლის ვადით 2033 წლის 03 აპრილამდე** (შემდგომში „**ხელშეკრულების მოქმედების ვადა**" ან/და „**იჯარის ვადა**"). მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე აწარმოებენ მოლაპარაკებას იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების ან/და იჯარის განახლებული ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.

7.1. Настоящий Договор вступает в силу с **03 апреля 2026 года и действует в течение 7 (семи) лет до 03 апреля 2033 года** (далее «**Срок действия** Договора» или «**Срок аренды**»). Стороны соглашаются, что не позднее чем за 1 (одного) календарного месяца до истечения Срока действия Договора стороны приступают к переговорам с целью продления срока действия Договора аренды и/или заключения нового Договора аренды.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა ან/და მოშლა არ უკარგავს მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას.

7.2. Прекращение и/или расторжение настоящего Договора не лишает Стороны права требовать исполнения денежных обязательств, возникших до момента прекращения настоящего Договора.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა მოიშალოს/შეწყდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე შემდეგი საფუძვლებით:

7.3. Настоящий Договор может быть расторгнут/прекращен до истечения срока его действия на следующих основаниях:

7.3.1. მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით. ამ შემთხვევაში მოიჯარე არაა უფლებამოსილი მოსთხოვოს მეიჯარეს გაწეული ხარჯების ან რაიმე სხვა სახის ფულადი ანაზღაურება;

